მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

9 დეკემბერი 2022 წელი; 14:00 საათი.

2022 წლის 9 დეკემბერს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა, განახლებული შემადგენლობით. სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა 11 წევრით.

სხდომას, სტუმრის სტატუსით ესწრებოდა მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ავთანდილ ურიადმყოფელი და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი მარიკა ქველიძე.

დღის წესრიგი:

1.მისალმება

2.მიმდინარე წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ზოგადი მიმოხილვა-*მომხს.: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ მანუჩარ რობაქიძე*

3. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-*მომხს.:თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ავთანდილ ურიადმყოფელი.*

4. საგრანტო კონკურსი ,,საპროექტო იდეები"-*მომხს.:სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი მაკა ასათიანი.*

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, მერის მ/შ მანუჩარ რობაქიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა წუთიერი დუმილით გახსნა, მათ პატივი მიაგეს, აწ გარდაცვლილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის ხსოვნას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს წევრებს 2022 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. გააცნო მიმდინარე, დასრულებული და გარდამავალი პროექტები, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხორციელდება.

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა საფინანსო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა, მან, აგრეთვე, ისაუბრა სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ.

სხდომის ბოლოს, მრჩეველთა საბჭოს მდივანმა მაკა ასათიანმა წევრებს პროექტ ,,ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის(EU4ITD)-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი(CESL) ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ,,საპროექტო იდეები"-ს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, გააცნო მათ პროექტის მიზნები, ისაუბრა კონკურსის ფარგლებში ტურიზმის და ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობაზე და როგორ შეგვიძლია განვავითაროთ, ყოველივე ეს, მუნიციპალიტეტში.

სამოქალაქო საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს საკონკურსო იდეების წარდგენის წესი, იმსჯელეს რამოდენიმე იდეის შესახებ , წარმოადგინეს ახალი საინტერესო წინადადებები ტურისტული პაკეტის სრულყოფისთვის, კერძო თუ მცირე ბიზნესის განვითარებისთვის.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, მერის მ/შ მანუჩარ რობაქიძემ, საბჭოს წევრებს შეახსენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობისთვის

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მზაობა და აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების საქმეში.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: /მანუჩარ რობაქიძე/

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: /მაკა ასათიანი/